

მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი 010159
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის პროფესია მიეკუთვნება აგრონომიის დარგს და ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების (მავნებლები, ავადმყოფობები, სარეველები) დიაგნოსტიკას და მათ წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ღონისძიებების გამოყენებას თანამედროვე, ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდებითა და საშუალებებით, რომელთა გარეშე შეუძლებელია მოსავლის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდა და გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება.

II. დასაქმების სფერო

მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის დასაქმების სფეროებია: სოფლის მეურნეობის ნებისმიერი დარგის საწარმო-ფერმერული მეურნეობები, ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრები, მცენარეთა დაცვის სარეალიზაციო მაღაზიები, ნიადაგის, მცენარისა და პროდუქტთა ექსპერტიზის ლაბორატორიები, აგრარულ ბაზრებში განთავსებულ პროდუქტთა ხარისხის მკონტროლებელი ლაბორატორიები, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ცენტრები.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (III,IV,V). თითოეული საფეხურისათვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული

დიპლომი.

მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, საიდანაც მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, საიდანაც მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, საიდანაც მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის კვალიფიკაციის აღმწერი

მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>აქვს მცენარეთა დაცვისათვის აუცილებელი დისციპლინების (ენტომოლოგია, ფიტოპათოლოგია, ჰერბოლოგია, ტოქსიკოლოგია.) საბაზისო ცოდნა. იცნობს სავარგულების ფიტოსანიტარული მდგომარეობის (მცენარეთა მავნე ორგანიზმების გავრცელების და სახეობრივი შედგენილობის) დასადგენად აუცილებელ ბრძოლის ცალკეულ ღონისძიებებს, შესაბამის მეთოდებს და ხელსაწყოებს. აცნობიერებს მცენარეთა დაცვის ძირითად პრინციპებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია მცენარეთა მავნე ორგანიზმების მიერ მიყენებული ზიანის ამოცნობა, დაზიანების სიმპტომების და ხარისხის აღწერა, გარემო პირობების გავლენის შეფასება და ამ მიმართულებით პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია აღწეროს მცენარეთა საერთო მდგომარეობა, დაადგინოს მავნე ორგანიზმების გავრცელება, განვითარების ინტენსივობა, მავნეობის მაჩვენებლები და ჩამოაყალიბოს დასკვნები წერილობით.</p>

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია გადაამუშავოს მიწოდებული ინფორმაცია, გამოიყენოს მეთოდური მითითებები მცენარეთა დაცვის საშუალებების პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით; საჭირო ინფორმაციის მოსამიებლად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს; შეუძლია საჭიროების შემთხვევაში უცხოურ ენაზე ელემენტარული კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია სპეციალურ ლიტერატურაში ფიტოსანიტარული მდგომარეობის დადგენის შესახებ, მოიძიოს საჭირო ინფორმაცია და შეიძინოს ზოგიერთი ახალი პროფესიული პრაქტიკული ცოდნა და უნარი.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	აქვს დაკისრებული საქმისადმი პროფესიონალური დამოკიდებულება, გათავისებული აქვს საკუთარი მოვალეობები. არის პუნქტუალური და მოწესრიგებული.

მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	ფლობს ცოდნას ძირითადი მავნე სახეობების ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესახებ, იცის მავნე ორგანიზმების გავრცელებისა და განვითარების ინტენსივობის დადგენის მეთოდები, მათთან ბრძოლის ღონისძიებებისათვის საჭირო ფაზები და ვადები.
-----------------------	---	---

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილ სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია მავნე ორგანიზმების აღრიცხვის მეთოდების გამოყენება, შეუძლია მათი მავნეობის ხარისხის მიხედვით სახეობის შერჩევა და განვითარების ფაზის შესაბამისად დამუშავების ვადებისა და წესების დადგენა; შეუძლია შეიმუშავოს სტრატეგია მცენარეთა დაცვაში წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი.</p>	<p>შეუძლია, გააკეთოს შესაბამისი ანალიზი და წარმოადგინოს საფუძვლიანი დასკვნები ფიტოსანიტარული ვითარების შესახებ.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია მავნე სახეობათა შესწავლის პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაცია.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლების მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული სიახლეების მოძიება და ცოდნის სისტემატიურად გაღრმავება, მცენარეთა დაცვის ახალი ტექნოლოგიების ათვისება.</p>

<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს; კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი მოვალეობები, ფუნქციები და პასუხისმგებლობა; ზრუნავს მუშაობის უსაფრთხოების წესების დაცვაზე; იცავს გარემოს უსაფრთხოებას.</p>
---------------------	--	---

მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს. (საზღვრებს)</p>	<p>კარგად ფლობს მცენარეთა დაცვის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, იცნობს მცენარეთა დაცვაში ყველა სახის მავნე ორგანიზმებთან და სარეველებთან ბრძოლის როგორც თანამედროვე ქიმიურ, ასევე ალტერნატიულ ბიოლოგიურ და აგროტექნიკურ მეთოდებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია მცენარეთა მავნებლების, ავადმყოფობათა და სარეველების სახეობების გარკვევა, მათ მიერ მიყენებული ზარალის აღრიცხვა და მათთან ბრძოლის თანამედროვე ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვროს პრობლემის ამოცანა, მოახდილოს მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული</p>	<p>შეუძლია მცენარეთა დაცვაში არსებული პრობლემების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე სწორი დასკვნების გამოტანა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, დარღვევების იდენტიფიცირება, ანალიზისა და დასკვნის საფუძველზე ამ დარღვევების აღმოფხვრისა და შედეგების გამოსწორების გზების დასახვა.</p>

	დასკვნების გაკეთება.	
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეების და ინფორმაციის სტრუქტურულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხო ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა წყაროებიდან ახალ მიღწევებზე ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და დაინტერესებული პირებისათვის მისი რეკომენდაციის სახით გადაცემა. შეუძლია საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მომზადება უცხოურ ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლების მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია მცენარეთა დაცვის თანამედროვე ტექნოლოგიებზე არსებული უახლესი ინფორმაციის საფუძველზე თავისი პროფესიული განვითარების პერსპექტივის გაცნობიერება.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	აფასებს თავისი და სხვების საქმიანობის მნიშვნელობას ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის მიღების საქმეში. შეუძლია კონსტრუქციული თანამშრომლობა კოლეგებთან. კრიტიკულ სიტუაციებში არ კარგავს მობილიზების უნარს და ზუსტად ასრულებს საკუთარ მოვალეობებს.